№ 79 **სახალხო გაზეთი** № 79

ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის შემდეგ მეტი ეღირება.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

ღამე 7 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ შვილები **მიხეილ ნიკოლოზის ძე ზუბალაშვილი** და **მარიამ ნიკოლოზის ასული კნ. აბაშიძისა.** პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მიცვალებულის გვამისა ოთხშაბათს, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

(2—1066—2)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
„ალიონი"

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—6.—4) ამხანაგობა „ალიონი"ს გამგე **ვ. გადილია.**

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე
(„ნაკადულის" პრემია).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში
მიიღება ხელის მოწერა
5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე
დავით კლდიაშვილის
სრულ თხზულებაზე
(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მოწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

—◀ **ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება** ▶—

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—6)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გამაყუნძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიხამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მომოთდი—ყოვ.. ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6. - 410)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნალ.—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანსკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირმდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სოხოლევსკი ვ. ე. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—219)

ქუთაისის
ქალაქის გამგეობა
აცხადებს,

რომ ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მომავალ ოთხი წლისთვის (1910—1914 წ. წ.) დანიშნულია ქალაქის თეატრში მდგომარე 1910 წლის

სექტემბრის 14 რიცხვისათვის. (1—6.—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაწლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთ მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ხარაძე—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პაგლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ცნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—85)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—42)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—183

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გვრა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—5.—122)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

დაიბეჭდა და იყიდება
თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში
ბატონ-ყმობა საქართველოში
ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.
საქართველოს ისტორია
ს. ქვარიანისა.
ფასი 25 კაპ. (15—ფ.—3)

დაბა ხონში
ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების
წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

გამოვიდა მე 31 ნომერი



თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

ქუთაისის მმართველობის ქალთა
გიმნაზია
(ზარეჩნის ნაწილში, მესხეთის ქუჩა).

ამით აუწყებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელი, პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 21 აგვისტოდან. და მოხდება თანახმად გიმნაზიაში გამოკრულ გამოცდათა მონაწილეობისა. მეშვიდე კლასში უადგილობისა გამო მოწაფეთა მიღება არ იქნება.

თხოვნები, საჭირო დოკუმენტებით მიიღება 19 აგვისტომდე. (3—6.—3)

სამს მანეთს იძლევიან
„ვისრამიანში", ოღონდ სრული და სუფთა წიგნი იყოს. ვისაც აქვს გასაყიდი, წარმოადგინოს „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. (3—3)

ქირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

ნიუ-იორკი „ტრიბუნას" დეპეშით ატყობინებენ ახალ ორლეანიდან, რომ ნიკარაგუას პრეზიდენტი მადრისი თანამდებობიდან გადადგა და ოჯახითურთ გაიქცა. იმის მოადგილედ ასახელებენ ხოზესტრადს, ინსურგენტების მეთაურის ძმას.

რომი. ტრანში ხოლერით კიდევ ავად გახდა 9 კაცი, ამათგან გარდაიცვალა ექვსი კაცი.

ბერლინი. „დეიჩე-კაბელ-გრამგეზელშაფტი" დეპეშით იტყობინება, ტოკიოდან, რომ კორეის ანექსია უკვე მოხდაო.

პეკინი. სახელმწიფო საბჭოს წევრები შისუი და იუიშენი თანამდებობიდან გადააყენეს, იმათ ნაცვლად დანიშნეს გენერალურ შტაბის უფროსი თაუდი იუფონი და ფოსტისა და გზათა მინისტრი სიუბიჩინი. საგზაო მინისტრად დაინიშნა ტენშაო. ბაიდინფუს და იდაჯეის ოლქში მცირე უწესოება მოხდა ხარჯების აკრეფის ნიადაგზე. ეხლა სრული მშვიდობიანობაა.

ტოკიო. ინგლისის ჯავშნიანი გემი „ბეტფორდი" ცუდი ამინდის დროს დაიღუპა კორეის სამხრეთ დასავლეთით. ეს გემი მიდიოდა ინგლისის ესკადრასთან ვეიხაივეისა და ნაკოსაკში. იაპონიის გემები საშველად გაემართნენ.

საერო კრების არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარეს. ჯერ არ გამორკვეულა არჩევნების შედეგი.

ბელგრადი. მოხდა სამგლოვიარო მანიფესტაცია მოკლულ მებრძოლის გრიგოლ სოკოლოვიჩის სახსოვრად. დაესწრნენ სხვა და სხვა კავშირთა წარმომადგენელნი, აქ მცხოვრებნი მაკედონელი სერბები და მრავალი მოქალაქენი. წარმოსთქვეს ცხარე სიტყვები, სადაც ეხებოდნენ მაკედონიაში მცხოვრებ სერბთა აუტანელ მდგომარეობას.

ბერლინი. დოიჩე-კაბელ-გრამმეზელშაფტ" დეპეშით იტყობინება ტოკიოდან, რომ კორეა იაპონიის კოლონიად გამოცხადდა. ტერაუჩი დაინიშნა კორეის გენერალ-გუბერნატორად. კორეის საიმპერატორო გვარეულობას ისეთივე პატივით მოეპყრობიან, როგორც იაპონიის სამეფო გვარეულობას. მომავალი წლიდან კორეის იმპერატორი ტოკიოში გადასახლდება. მისი შესანახი ფული იმდენივე იქნება, როგორც წინად. კორეის დიდებულთ ენიჭებათ იაპონიის პერის სახელი. კორეის საბაჟო ტარიფი ძალაში რჩება კიდევ ხუთი წლით, შემდეგ შეიცვლება. აქაურ იაპონიის საელჩოში არ მოსულა ცნობები კორეის ანექსიის შესახებ.

ლონდონი. იაპონიის საელჩოს ჯერ არ მიუღია ცნობები კორეის ანექსიის შესახებ. საზღვაო სამინისტროს ცნობით კრეისერ „ბეტფორდის" დაღუპვის დროს დაიხრჩო 18 მეზღვაური.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობებით ნიკარაგუას ინსურგენტების წინამძღოლმა ესტრადმა დაამარცხა მთავრობის ჯარი. მანაგუაში ხალხს შიშის ზარი დაეცა.

მანაგუა. ესტრადომ პროკლამაცია გამოსცა და გამოაცხადა საყოველთაოდ, რომ მართვა გამგებლობა აჯანყებულთა ხელში გადავიდა. აჯანყებულნი ქალაქიდან ოცი ვერსის მანძილზე არიან დაბანაკებულნი. ხალხი ქუჩა ქუჩა ყვირის „სიკვდილი იანკებს". ესტრადომ აიღო 8 ლიუფილდსი.

ჟენევა. გარდაიცვალა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი გუსტავ მუანიე, რომელიც 84 წლისა იყო.

ბრიუსელი. გაიხსნა საერთა-შორისო კონგრესი შინაურ სწავლა-აღზრდის საკითხების შესახებ.

თეირანი. რადგან ენზელი-თეირანის გზაზე მომხდარმა წინა ორმა ცარცვა-გლეჯამ დაუსჯელად ჩაიარა, გუშინ ღამ ყაზვინიდან 8 ვერსის მანძილზე კიდევ მოხდა სამარცხვინო გაცარცვა. მეორედ გაცარცვეს სპარსეთის ფოსტა. ენზელში ხოლერის გაჩენამ შიშის ზარი დასცა თეირანს.

პარიზი. გავასის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ათენიდან: ატიკის ყველა საარჩევნო ოლქებში და სხვა ადგილებში გაიმარჯვეს სახალხო კავშირის კანდიდატებმა, რომელთაც წინ უდგნენ თეოტოკისა და რალისის პარტიის კანდიდატები. ვენიზელოსი ეტიკიდან იქნება არჩეული დიდის უმრავლესობით. აგრეთვე არჩეულ იქნებიან კრიტის სხვა კანდიდატებიც. რალისმა განაცხადა, არჩევნები შედეგების მიხედვით ვენიზელოსს უნდა დაევალოს კაბინეტის შედგენა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საარჩევნო კამპანიის შედეგები დამფუძნებელ კრებად გადააქცევს საბერძნეთის რევიზიონისტთა საერო კრებას. მინის.-პრეზიდენტის დრაგუმისისამ და გარეშე საქმეთა მინისტრის კალერგისის არჩევა უზრუნველყოფილია. თეოტოკისის სიამ გაიმარჯვა კორფუში.

ბერლინი. საბოლოოდ ამორკვეულია, რომ ჩვეულებრივი სახელმწიფო შემოსავალი 1909 წელს გაიზარდა 72,500,000 მარკით, ხოლო გასავალი 40,500,000 მარკით. ამრიგად დასაფარავია დეფიციტი 126 მილიონი და არა 230 მილიონი როგორც წინად იყო.

უელსი. ტყის ცეცხლმა გადასწვა ქალაქის ნახევარი ნაწილი. ცეცხლი მოედო ას ოთხკუთხ მილის სივრცეს. ცეცხლში დაიწვა 24 კაცი. მისულაში მოვიდა ათასი ლტოლვილი, ნახევრად ფეხშიშველნი. უკვალოდ დაიკარგა 180 ტყის მცველი. ფიქრობენ, ისინი ცეცხლში დაიღუპნენო.

ჰაერში ფრენა.

ოდესსა. კაპიტანი პლასნიცკი ბლერიოს აპარატით აფრინდა, მაგრამ ჩამოსვლის დროს ძალიან გეზად დაეშო და ამიტომ ჩამოვარდა აპარატი ძალიან დაზარალდა. თვით ავიატორი კი მსუბუქად დაშავდა.

კიევი. საპიორთა ლაგერში ბურთით აფრინდა ორი პილოტი—აფიცერი. ბურთი ჩერნიგოვისკენ გაფრინდა.

პეტერბურგი. დირიჟაბლი „ლებედი" აფრინდა, ნევის პროსპექტი გადაიარა და უვნებლად ჩამოვიდა. გატჩინის აეროდრომზე პილოტი ლებედევი რამდენჯერმე აფრინდა ფასმანის ბიპლანზე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ავიატორი უტოჩკინი ოთხჯერ აფრინდა; პირველად—60 მეტრის სიმაღლეზე; მეორეთა და მესამეთ—მგზავრებით, ხოლო, მეოთხედ ასი მეტრის სიმაღლეზე.

რ უ ს ე თ ი

ვორონეჟი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლიკოშინმა საგუბერნიო ერობის საავადმყოფოსთან არსებული ხოლერიანთა შენობა დაათვალიერა ლიკოშინმა გაი-

ცნო ის ზომები, რომლებსაც ხმარობს საერობო საავადმყოფო ხოლერის საწინაღმდეგოთ.

კიევი. ბირზულის მახლობლად სეტყვას ჭირნახული სულ გაუნადგურებია ადესიდან კიევში მიმავალთ მატარებელთ იძულებული გამხდარა შეჩერებულიყო. სეტყვას მატარებელის ფანჯრებში შუშები ჩაუმტვრევია. სადგურ კოველთან ყაჩაღებს ვაჭრები გაუძარცვიათ. წაუღიათ 8000 მანეთი.

კალუგა. ძველი ეკლესიის ნაშთებიო აღმოსაჩენად მოსკოვის არქეოლოგიურ წევრის მაშკოვის ზედამხედველობით დაიწყეს პაფნატის მონასტრის თხრა.

ეკატერინოდარი. სამხედრო სასამართლომ დაიწყო გარჩევა 68 ანარქისტ-კომუნისტისა, რომელთაც 1906 და 1907 წლებში სხვა და სხვა დანაშაულებანი ჩაუდენიათ.

ხარკოვი. ფრინველის მომშენებელ საიმპერატორო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება გაიხსნა.

კიევი. 8 აგვისტოს ორი ორთქლმავალი ერთმანეთს დაეჯახა დაშავდა ერთი მემანქანე.

ოდესსა. საოლქო-სამხედრო სასამართლოში დაიწყო გარჩევა ათ ბოროტ-განმზრახველისა. მათა ბრალდებათ: 1907 წელს გემის „სოფია“-ს დატყვევება, არტელშჩიკის გაძარცვა, მოტაცება 50 ათასი მანეთისა და სხვ. დაბარებულია ასი მოწმე.

უფა. ექვს სოფელში ცეცხლმა 75 გლეხი-კაცის სახლი გაანადგურა. დაიწვა ერთი ბავშვი.

ალექსანდროვსკ-გრუშევსკი. ანტრიციტის მაღაროების მუშამ რ. ვანის დინამიტი შემოაწყო და თავი აიფეთქა. მიზეზად ოჯახურ პირობებს ასახელებენ.

ხოლერა

პეტერბურგი. დღე ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 49, მოკვდა 30, ავად არის 615; პეტერბურგის ახლო-მახლო ადგილებში ავად გახდა 5, მოკვდა 1, ავად არის 42.

იაროსლავლი. მაზრებში ხოლერამ შესამჩნევად იკლო.

პეტერბურგი. სააგენტომ ხოლერის გავრცელების შესახებ შემდეგი ცნობები მიიღო: ერთი კვირის განმავლობაში ალექსანდროვკაში ავად გახდა 121, მოკვდა 50; ასტრახანსა და გუბერნიის მაზრებში ავად გახდა 217, მოკვდა 91; ბერლინსკში ავად გახდა 11, მოკვდა 10; ვორონეჟის გუბერნიაში ავად გახდა 1119, მოკვდა 554; ნიკოლაევსკაში ავად გახდა 78, მოკვდა 31; სიზრანის მაზრაში ავად გახდა 58, მოკვდა 25; ცარიცინში ავად გახდა 17, მოკვდა 6; დემინიანსკის მაზრაში 7 ივლისს ავად გახდა 24, მოკვდა 11; ანანიევის მაზრაში ეპიდემიის დაწყებიდან ავად გახდა 484, მოკვდა 221; სმოლენსკში უკანასკნელ დღეებში ავად არავინ გამხდარა; ყაზანში ერთი კვირის განმამლობაში ავად გახდა 21, მოკვდა 8, ყაზანის მაზრაზში ავად გახდა 9, მოკვდა 2; ცივილსკის მაზრაში ავად გახდა 17, მოკვდა 5, ტეტირბკაში ავად გახდა 84, მოკვდა 39, ჩებოსიარსკის მაზრაში ავად გახდა 26, მოკვდა 9; სვიაჟის მაზრაში ავად გახდა 78, მოკვდა 16, სპასკის მაზრაში ავად გახდა 10, მოკვდა 2, ლიშაევის მაზრაში ავად გახდა 72, მოკვდა 40, ჩისტეპოლისაში ავად გახდა 325, მოკვდა 158. კრონშტატში ერთი დღე ღამის განმავლობაში ავად გახდა 7, მოკვდა 5, ომსკში ავად გახდა 28, მაზრაში 1;

მოსკოვი. ერთ დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 7, მოკვდა 2, ავად არის 27.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ხოლერა გორში.** ხოლერა აქ 22 ივლისს გაჩნდა და 11 კაცი იმსხვერპლა. 2 აგვისტოს ხოლერით კიდევ ავად გახდა და გარდაიცვალა სოფიო წიქარიძისა, 5 აგვისტოს ბარაკში გარდაიცვალა მეარლნე ზურა ქოქაშვილი 30 წლ. ხოლო 6 აგვისტოს ვანო მურადოვი 29 წლისა. გარდაცვალებულთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს. ბარაკში ამ ჟამად არავინა წევს, მაგრამ, უეჭველია, პატრონები ავადმყოფებს სახლებში მალავენ. მოარულთან ხეირიან ბრძოლას აბრკოლებს მკურნალთა პერსონალის სიმცირე. ამ ჟამად ქალაქს ჰყავს დაქირავებული სამი ფერშალი, რომელთაგან ერთი, ლობჟანიძე, მუდამ ბარაკშია. ერთი ექიმიც საჭირო იყო ქალაქისათვის. მიმართეს სამკურნალო მართველობას, გამოგზავნეთ ექიმი, თვეში 300 მან. მიეცემაო. მაგრამ ჯერ არავინ დაუნიშნავთ. გორი უექიმოდ არის, რადგან მაზრის ექიმი სოფლებში დადის. ქალაქის გამგეობამ სასწორთან უკვე გახსნა უფასო საჩაიე, რომელსაც საკმაო ხალხი ეტანება.

◆ **ქ. გორის თვითმმართველობის შუამდგომლობა.** ამას წინად ქალაქ გორის რწმუნებულთ შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ გორში მდებარე სახაზინო მიწები ქალაქის თვითმმართველობას იჯარით მისცემოდა. კავკასიის უმაღლეს მთავრობას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

◆ **ხოლერა სოფლად.** როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის პატარა სოფელ ხურვალეთი (30 კომლი) კიდევ სამი კაცი გარდაიცვალა ხოლერით. ამ რიგად ამ სოფელში დღემდე ხოლერამ 10 კაცი იმსხვერპლა.

ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 9 აგვისტოს დილის 9 საათიდან 10 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო სულ 28 ავადმყოფი, მოემატა—4, მორჩა და გამოეწერა—3, გარდაიცვალა—2, დარჩა—27.

◆ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 9 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი. მათი გვარები: 1) ალექსანდრა თეოდორეს ასული სუშილნიკოვისა, 2) მარიამ ბერიძე, 3) ლიუდვიგ სიმონის ძე მოლკონოვი, 4) ნინო სერგეს ასული პონომარევისა და 5) ეფიმ მუდრაკი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს. გუშინ დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ხოლერით ერთი კაცი გახდა ავად.

◆ **დანიშვნა.** თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი სნიგარევსკი დაინიშნა ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

◆ **სასანიტარო ბიუროში.** გუშინ, ნაშუადღევის ორ საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში დაიწყო სასანიტარო ბიუროს კრება. კრებას მსჯელობა ჰქონდა სოფლებში ხოლერის წინააღმდეგ ზომების მიღების საჭიროების შესახებ.

◆ **უპასპორტონი.** საერთო ჩხრეკა დაპატიმრების დროს 9 აგვისტოს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 93 უპასპორტო დააპატიმრა. დაპატიმრებულთა ვინაობას არკვევენ.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგურები.** ტფილისის კერძო საელექტრონო სადგურთა რიცხვი დღითი-დღე სოკოსავით მრავლდება ქალაქი გამგეობას კი დღემდე არ შეუმუშავებია რაიმე სავალდებულო დადგენილებანი ასეთ სადგურების მომწყობთა სახელმძღვანელოდ. ამით კერძო პირნი სარგებლობენ და სადგურებს უადგილო ადგილასა და სრულიად უგეგმოდ აწყობენ. კარგი იქმნება ქალაქის გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

◆ **გაქცეული ტუსაღი.** გორის საპატიმროდან გაქცეულა ტფ. მცხოვრები არშაკ ეირანოვი, რომელიც საპატიმროში მხოლოდ ერთი თვე უნდა მჯდარიყო.

◆ 9 აგვისტოს პასტერის ქუჩაზე იპოვეს მიგდებული ბავშვი, მდედრობითი სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

მოწერილი ამბები

სოფ. მეჯვრისხევი. (გორის მაზრა). ამ ხუთიოდ თვის წინად ადგილობრივ მკვიდრთა ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს საამხანაგო საკრედიტო ბანკის დაარსებაზე. 5 ს აგვისტოს სოფ. ეწვია ბ-ნი წვრილი კრედიტის ინსპექტორი, მოიწვია კრება, აუხსნა ამხანაგობას ამნაირ საკრედიტო ბანკის მნიშვნელობა სოფლად და დაჰპირდა შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ზოგიერთების საყურადღებოთ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე, როგორც მათ ჰგონიათ, თავის თავად არ გაკეთდება. შორიდგან არავის უფიქრია, რომ ინსპექტორი გაუგზავნოთ და ბანკი დაუარსოთ მეჯვრისხეველებსთ. ეს საქმე გაკეთდა აქვე, სოფლად ხუთიოდ ინტელიგენტების თაოსნობით მას ჟამსა შინა ყინვისასა, როდესაც უფროსები ქალაქად ბრძანდებოდენ და სოფელი და მისი გაჭირვება იმდენად ახსოვდათ, რამდენადაც ჩინეთის მეფეს ამ სტრიქონების დამწერი. ეს აღვნიშნე იმიტომ, რომ საზოგადოდ სოფლად უმეტესობა არაფერს აკეთებს, მაგრამ თუ რამე უკვე გაკეთებული დაინახეს, ყოველი მათგანი მზად არის თავის თავი ინიციატორებად დასახოს. მაგრამ ეს სხვათა შორის, დაწვრილებით კი მეჯვრისხევში წვრილი საკრედიტო საამხანაგო ბანკის დაარსების ისტორიას და მის ინიციატორებს შევეხები შემდეგ, როდესაც საქმე სრულიად განხორციელდება. განხორციელებამდის კი მხოლოდ ერთი და ნაბიჯი დაგვრჩენია.—როგორც წინა წერილში გწერდი, მეჯვრისხევის საზოგადოებაში 29 ივლისიდგან ხოლერამ შესამჩნევად იკლო. ამ უკანასკნელ ოთხ-ხუთ დღეში კი. ე. ი. 1 აგვისტოდგან, როგორც სჩანს ოფიციალური წყაროებიდან, სრულიად არავინ გამხდარა ავად.—სამაგიეროდ, მეზობელ ხურვალეთის საზოგადოებაში ძალიან გახშირებულა ხოლერით ავადმყოფობა. ჩვენი საზოგადოება თავის ხოლერასთან მებრძოლ კომიტეტის თაოსნობით შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს მათ წამლებით თუ საექიმო პერსონალის გაგზავნით. აგრეთვე ეს კომიტეტი დებულობს ზომებს რომ ხოლერა ისევ აქეთ არ გადმოვიდეს. მეჯვრისხევის საზოგადოებიდან ხოლერის ეგრე მალე გაქცევაში, სიმართლე უნდა ითქვას, დიდი წილი უდევს ამავე კომიტეტს და მის განკარგულებაში მყოფ ფერშლებს. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ახლად საზღვარ-გარედ კურს დამთავრებული ექიმი ბ ნ ილიაძე, რომელიც მძიმე ეგზამენების შემდეგ თავის სახლში ჩამოვიდა დასასვენებლად ამ ორი კვირის წინად, მაგრამ დასვენების მაგიერ მთელი დღეები დარბოდა ავადმყოფებში შესაძლებ დახმარებას უწევდა მათ სრულიად უსასყიდლოდ.—

ეჭვი არაა, რომ უბრალო სარწყავი რუების წყალმა, რომელსაც სოფელი სვამს, ხელი შეუწყო ხოლერის გაჩენას და მის გაძლიერებას. მეჯვრისხევი

რომ სუფთა წყლით უზრუნველ-ყო
ფილიყო, შეიძლება [illegible]
ნოდა ამ უბედურებას. მაგალითად
შეგვიძლია მიუთითოთ სოფ. კირბა
ზე, რომელიც სუფთა წყაროს წყლ
არის უზრუნველ-ყოფილი და მიუხე
ვად გარშემო სოფლებში მძვინვა
ეპიდემიისა იქ ერთიც არ გამხდ
ავად არც ეხლა და არც, როგორც მი
ხრეს, წარსულ ხოლერობის დრ
(1892 წ.) მეორე მაგალითი სო
ჯარიაშენია, სადაც ამას წინად ად
ლობრივი მემამულის პორუჩიკი ბ
სრესელის თაოსნობით სოფელმა ახ
მდებარე წყაროდან მილით წყალი
მოიყვანა სასოფლოდ. იქაც არავინ
მხდარა ავად ამ ეპიდემის დროს,
ორივე სოფლები მეჯვრისხევის საზ
გადოებაში შედიან და სულ ნახევა
ვერსით იყვნენ დაშორებულნი ხოლ
რიან სოფლებს. მე მგონია. ეს ო
მაგალითი სრულიად საკმარისია ჩვ
გლეხობისათვის, რომ შემდეგ მათ
შეიგნონ თუ რა დიდი მნიშვნელო
აქვს სასმელად სახმარ წყლის ღირს
ბას ადამიანისათვის. როგორც გარ
მომცეს, ამ ჟამად ზემოხსენებული კ
მიტეტი ცდილობს მეჯვრისხევი
მხრით უზრუნველ ჰყოს. სოფლიდგ
სამ-ოთხ ვერსზე მრავალი მშვენიე
წყაროებია, საიდანაც არც თუ ისე შ
ძლებელია მილით წყლის გამოყვან
თუ კი, რასაკვირველია, სოფელმა უ
შეიგნო მისი საჭიროება და თანაგ
ძნობით შეუდგა კომიტეტის დაწყებ
ლებას. რასაკვირველია, წყლის გამ
ყვანა მოითხოვს ხარჯს. გლეხისთვის
ყოველი კაპეიკი ძვირფასია, მაგრამ
დაგვავიწყდება ჯანმრთელობაზე უძვ
ფასესი განსაკუთრებით მუშა ხელის
თვის არაფერი არ არის. იმედი უნ
ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი მამ
სახლისიც არ დასტოვებს ამ კითხვ
უყურადღებოდ და როგორ ბევრ სხ
კეთილ რამეში, აქაც საქმიანობას გამ
იჩენს. ტყუილად კი არ შენიშნა ე
თმა მაღალმა პირმა: ესეთი მამასახ
ლისით ხოლერა სამ დღეში შეიძლებ
გაძევებულ იქმნას მეჯვრისხევიდგ
ნაო“.—

ეს ოთხი-ხუთი დღეა მეჯვრისხევ
ისე აცივდა, რომ ოკტომბერ ნოემ
რის დღეებს მოგაგონებს.— X

—

სოფ. კარალეთი. გორის ახლ
და ცხინვალის გზაზედ მდებარეო

მსახური ეკლესიისა

4*)

დიდად აღელვებული იყო იაკობი კურთხევის დღეს. სიონის ტაძარში აკურთხეს დღესასწაულ დღეს აუარებელი ხალხის წინ. იაკობი მხოლოდ სოფლის ხალხს იყო ჩვეული და მიყრუებულ მონასტერს და მღვდელთმთავრის სადღესასწაულო წირვა შიშსა ჰგვრიდა მას და კრძალვას.

იაკობს სწამდა დაჭეშმარიტებით, რომ ის დღე დიდმნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში: გადმოვიდოდა მაშინ მასზე მადლი სულისა წმიდისა და ეს ზეციური ძალი გარდაჰქმნიდა მას რჩეულად, წინამძღვრად ხალხისა, მწყემსად კაცთა და იმათ მიმყვანად წინაშე მამისა ზეცათასა; ამიერიდან ის შეიქმნებოდა აღმასრულებელ ღვთაებრივ საიდუმლოთა და შუამდგომელი ღვთისა და მრევლ შორის. ეს მაღალი მოწოდებაც აღელვებდა მას და გულს უჩქროლებდა.

ამისთანა მძიმე და პასუხისაგებელი ტვირთი აღემატებოდა ადამიანის ჩვეულებრივ ძალას, თუ მისი ბუნება არ ამაღლდებოდა ღვთაებრივ ძალით და მით არ გაძლიერდებოდა, თუ მასში არ დამკვიდრდებოდა სასწაულთმომქმედი მადლი უფლისა. დღეს ამ მადლის გარდმოსვლას მორწმუნე იაკობი მოელოდა მოწიწებით და კრძალვით, შიშით და ძრწოლით, რადგან ჩაგონებული ჰქონდა და სწამდა კიდეც, რომ მადლი იგი არის შემწე ღირსეულთა, აღმაფრთოვანებელი და განმასპეტაკებელი რჩეულთა, ხოლო შემწველი და დამანავლებელი უღირსთა და არა რჩეულთა. იაკობს სწამდა, რომ დღეს ამ სასწაულებრივ ძალას ნივთიერადაც იგრძნობდა ის და გაიგებდა მის გადმოსვლას მასზე.

— მე რომ მღვდელთ-მონოზნად მაკურთხეს და ხელნი დამასხნა მღვდელთმთავარმა, ვიგრძენი ძალა ღვთისა, გარდმოსული ჩემზედ, ვითარცა ელვა. მადლმან ღვთისამან განანათლა სული ჩემი, როგორც რამ ალმა ანაზდეულმა, მოაგონდა იაკობს თავის მასწავლებლის სიტყვა.

აგერ იაკობს მუხლი მოადრეკინეს ბრწყინვალედ შემოსილ მღვდელთმთავრის წინ. ეპისკოპოსმა დაასხნა ხელნი და აღიმაღლა ხმა:

— მადლი ღვთისა, რომელი იგი მარადის უძლურთა განკურნებს და ნაკლულევანთა აღავსებს, ხელთა დაასხამს კეთილად „მსახურს იაკობს და განაჩინებს მას მთავარდიაკვნობისაგან მღვდლად! ვილოცოთ, რათა დაიმკვიდროს ამასთან მადლმან სულისა წმიდისამან!

წარმოსთქვა თუ არა მაკურთხებელმან ასამაღლებელი, იაკობის გამახვილებულს ყურს მოესმა შრიალი რამ მსუბუქი. მსგავსი ნიავისა და გაეღო გული და აღივსო არსება მისი გამოუთქმელი სიამით: ცხადად იგრძნო იაკობმა მადლი ზეცისა გამამხნევებელი და მომცემელი ღვთაებრივის ძალისა.

დაივანა ამ ჟამიდან ძალმა ზეცისამა მასში, ვითარცა ჭურში რჩეულში და დაადგრა უკანასკნელ დღემდე ცხოვრებისა მისისა იგი ძალა სასწაულებრივი ახელმძღვანელებდა მას სიცოცხლის განმავლობაში; იხსნიდა სასოწარკვეთილებისაგან, როდესაც დაჰბერავდა მის ხომალდს ცხოვრების ზღვაზე ქარიშხალი სასტიკი; იგივე ძალა იხსნიდა მას ჭარბ კმაყოფილებისა და უჯერო პატივისაგან თავის თავისადმი, როდესაც მზე ბრწყინვალე დაჰნათოდა მის სიცოცხლის ზღვას დეწყნარებულს და ნიავი თანამსრბოლი კეთილად წარმართავდა მის ხომალდს. ყოველსავე კეთილს, რომელსაც მოიმოქმედებდა იაკობი, აწერდა არა თავის თავს, არამედ ღვთაებრივ ძალას, რომელიც მოქმედებდა მასში; ყოველსავე ბოროტს, რომელსაც ნებსით თუ უნებლიედ იქმოდა იაკობი, მიაწერდა თავის ცოდვიან ბუნებას, რომელი უღირსი იყო მასში მყოფ ღვთაებრივ ძალისა და რომელიც ამგვარი ხენეში მოქმედებით უღირსად ამღვრევდა მას. იგივე მადლი უფლისა იხსნიდა მას უზომო ჭმუნვისა და უიმედობისაგან განსაცდელში, სასოწარკვეთილებისაგან, რომელი დანთქამს მოქმედ ნებას ადამიანისას, ამოსწვდის სულს ცხოველს, მოღვარსლავს ადამიანს და გარდაჰქმნის მას მჩვრად რაიმე უხმარად. ეს მადლი ღვთისა შეიქმნა მოძღვარში იმ უხილავ ძალად, რომელი დაუდგა კვარცხლბეკად და საფუძვლად მის ზნეობრივ პიროვნებას, რომ ვერ შეეძრა იგი ფერად-ფერად სიჭრელეს ცვალებადის ცხოვრებისას და ვერ დაეხარნა თავისკენ.

დღეს დარწმუნდა იაკობი, რომ მადლი სულისა გადმოვიდა მასზე და დაემკვიდრა მასში და ამ გრძნობამ ააფრთოვანა ის, გრძნობები აუმაღლა, იმედებით აავსო და ისიც მიზან მიღწეული ვაჟკაცი მთლად ბედნიერი გახადა. განიბნა და განქარდა ამ ჟამად მის გულში ყოველივე ბოროტი, ამოიფხვრა ამ წუთს მის არსებიდან ყოველივე ავი. აწ ყველა და ყოველივე კეთილი იყო მისთვის და კეთილ-ქმნილი, მშვენიერი: ხატები ლმობიერად უყურებდნენ მას და აკურთხებდნენ, მღვდელთ-მთავარი სათნო იყო და სახიერი, მთავრები თუ დიაკვნები მეგობრულად გარს ეხვეოდნენ იაკობს და კმაყოფილებით შეჰღიმოდნენ, მგალობლები ანგელოსთა კრებულად გარდაქმნილიყვნენ და სანატრელ ხმებს იტყოდნენ; ამბიონიდან რომ მთავარ-დიაკვანი გრგვინავდა იგი გრგვინვა ცხებული სუნნელოვან ნელსაცხებლად ეფინებოდა მის არსებას. ნეტარებასა გრძნობდა იაკობი, ნეტარების ღიმილი გადაჰფენოდა მთელ მის სახეს.

მშვენიერი იყო ქვეყანა ღვთისა! მზე დიდებულად მისცურავდა ლაჟვრად ცის კამარაზე და განმაცოცხლებულ ნათელსა ჰფენდა სამყაროს; დედამიწის გადაშლილ მკერდზედ აღმოცენებულიყო ყოველივე მდელო ხასხასი და მოქარგულიყო იგი მკერდი სუნნელოვან ყვავილით ფერად-ფერადით; მფრინველთა გუნდი შესწირამდა ქებას ზეცას, ხოლო ქვე დედამიწას; მოჩუხჩუხე ნაკადები მიიტყოდნენ და მიიმღეროდნენ დიდებასა ღვთისასა.

სამღვდელო ტანისამოსში დამშვენებულს იაკობს სოფლის ნაცნობი გზა დღეს მოქარგული ეჩვენებოდა ია-ვარდით ეს კი იყო, რომ გაგრძელებულიყო იგი გზა, აღარ თავდებოდა. ქვა, მდელო, ჯაგი თუ ბუჩქნარი სალამს აძლევდა მას, უღიმოდა, კურთხევასა სთხოვდა. მგზავრებიც ქუდს უხდიდნენ ახალ მოძღვარს და შენდობას იღებდნენ.

— შენდობა, ბატონო! შესძახა ნინიკამ და გასცდა ჩქარის ნაბიჯით მიმავალი: ვეღარ იცნო ანაფორაში იაკობი.

— გაკურთხოს ღმერთმა, ჩემო ნინიკავ! მიუგო მოძღვარმა მხიარულად.

ნინიკა შესდგა და გაკვირვებით დააშტერდა მღვდელს. იაკობი გადმოხტა ცხენიდან და გადაეხვია მეზობელს. სასიამოვნო წუთი იყო და ღირს სახსოვარი!

ლმობიერს და ყოვლად მოწყალე შემოქმედს დღეს წყევა პირველი მოეხსნა ტვირთ-მძიმე დედამიწისთვის, იგი ქვეყანა დღეს აღარ იყო შეჩვენებული; ნაკურთხი იყო იგი და კურთხეული. იაკობიც კეთილი იყო! ყველას მადლიან სიტყვას ეუბნებოდა, ყველა ბუჩქს კურთხევას უთვლიდა, ყველა წყაროს ჯვარსა სახამდა, ყველა მფრინველს ალერსით ადევნებდა თვალს.

შინაურებიც მხიარულად დახვდნენ იაკობს: მისი ახალგაზრდა მეუღლე ეზოში იდგა ლეჩაქ გადაფარფარებული. დღეს სახიერად მოეჩვენა იაკობს თავისი ლია და კეთილ-ქმნილად. ოჯახმა, ნათესაობამ, მთელმა სოფელმა გულწრფელად მიულოცეს წარმატება. ერთი შური თვალიც კი ვერ შენიშნა ახალმა მღვდელმა თავის გარშამო: ყველა კარგად იცნობდა იაკობს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი წარმატება მისცემოდა მას სადიდებლად ეკლესიისა და სასიკეთოდ მრევლისა.

5.

ღვთის მოსავი კაცი იყო იაკობი, სარწმუნოების მტკიცე ნიადაგზე დამყარებული და მცნება ღვთისა ახელმძღვანელებდა მას ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა მისისასა. მცნებისამებრ ღვთისა ჰქონდა მას დასახული აზრი ამ ქვეყნად ცხოვრებისა, მარტივად და ნათლად.

იაკობ მღვდელი ადამიანი იყო ხორცშესხმული და ცხოვრება უნ-

დოდა ქვეყანაზე, ესაჭიროებოდა პ
რი არსობისა თავისათვის თუ თავ
ოჯახისათვის, მახლობელთათვის თ
მოყვასთათვის. და იაკობს სიმცრ
დანვე ჰქონდა შეთვისებული ის ე
თადერთი სამართლიანი და უყვ
დური სახსარი ცხოვრებისა, რომ
ლიც დაუსახავს განგებას. ყოვლ
ძლიერმა შემოქმედმა რომ მოჰმა
ლა ადამიანს ძვირფასი ნიჭი არს
ბობისა, იმანვე, ყოვლად მოწყალე
ამცნო მას მართალი საშუალება ა
სებობისა.

— ოფლითა პირისა შენისათა სჭ
მდე პურსა შენსა! ბრძანა უფალ
და დააწესა სახსრად ცხოვრები
შრომა პირადი.

შემომქმედის ბრძნული განგები
იმ ოფლითა პირისა თვისისათა ად
მიანს უნდა მოერწყო დედამიწა, ი
უნდა შექმნილიყო „მომქმედ ქვეყ
ნისა“, შემმუშავებელ მიწის წიაღ
სა და იგი მიწა, დედა ყოვლისა არ
სისა, მისცემოდა მას საზრდოს დ
განაძლიერებდა. მართალია განრისხებ
ლმა უფალმა დასწყია ადამიანის პ
შა-მარჯვენა, მისი გაჩენის ჟამ
დღენი მისი ცხოვრებისა და თვ
შესამუშავებლად დადებული ქვ
ყანა.

— წყეულ იყავნ ქვეყანა საქმე
შინა შენთა! ეკალსა და კუროსთა
სა აღმოგიცენებდეს შენ იგი. მწ
ხარებითა სჭამდე პურსა შენსა ყ
ველთა დღეთა ცხოვრებისა შენის
თა! ბრძანა მან.

გარნა არა სრულიად განრისხ
უფალი, არცა უკუნისამდე ძვირ
იხსენა.

— ნაყოფი ნაშრომთა შენთა სჭ
მო შენ და კეთილ-გეყოს შე
კვლავ ბრძანა ყოვლად-ლმობიერ
და კვლავ მოჰფინა მადლი თვის
ქვეყანას, კვლავ განამრავლა ქვეყ

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 78.

არალეთს ბევრს უპირატესობას აძლევს ხვა სოფლებთან შედარებით; რომ ავის ცხოვრება გაუმჯობესებინა და ატერიალურადაც წინ წაეწია; მართლაც მეტესობა აქ მცხოვრებთა უფრო შეძლებულ გლეხკაცობას შეადგენს. ირგვივ თითქმის მთელს სოფლებს მოედო ხოლერა. მეზობელ სოფელს პაარა გარეჯვარსაც კი, რომელიც სულ ერს ნახევარ მანძილზე მდებარეობს არალეთიდგან, უკვე ეწვია ხოლერა და მ დღეებში ხოლერის მხრივ საეჭვო მდგომარეობით გარდაიცვალა ეფემია უხრუკიძე—21 წლისა და ჭალიძეს გრივი 70 წლისა. კარალეთი კი ამ ხრივ ჯერ უშიშრად არის, სოფელიც ცდილობს ამ კარზედ მომდგარ მტერს —ხოლერას მარჯვედ დახვდეს: ადგიობრივმა მემამულემ თავ. მიხ. ერისთავმა სოფლის წყაროებს სულ ქვითირი გადაჰხურა, რომ სიბინძურე და სუფთაობა არ შედიოდეს შიგ და ყაროს წყალი უფრო წმინდა და უვნებელი შეინახოს. ბევრსა ცდილობს დგილობრივი მამასახლისი ალექსი საუშვილიც, რომლის მეოხებითაც ეხლა ოფელში სიბინძურე, ტალახი და ნაავი აღარ მოიპოვება; ყველგან სისუფთავეა; დაგვილი და დაწმენდილია; ოფელი შეკრული აქვთ და შიგ უცხოს რავის უშვებენ, მეტადრე თუ შეამჩნიეს რამე ავადმყოფობის ნიშნები, სოფელიც ხელს უწყობს თითონაც მამასახლისს და ცდილობს სისუფთავე დაიცვას. ამ დღეებში აქ ქართველებისა და სომხების მღვდლებმა მთელის სოფლისა მამასახლისითურთ თანადასწრებით გადაიხადეს პარაკლისები, რომ ხოლერა თავიდგან ასცილებოდეთ. ურის მოსავალი აქეთ წელს ვერ იყო კარგი. ვენახებიც წახდა. კარგად არის მხოლოდ ხილი და ბოსტნეულობა.

შ. ნამორაძე.

—

დ. საჩხერე. კაბრიელ ყარ. გამყრელიძის მამულში ამას წინად აღმოჩნდა ძვირფასი განძები. საქმე ასე იყო: აქ, სადაც ის განძები აღმოჩნდა, მიწის ბრუნება დაიწყეს ვენახისათვის. ტა მუშაობის შემდეგ, გამოჩნდა უხსოვარი დროის საომარი იარაღები (ნაჯახები), შუბები, სამაჯურები, თმის მოწყობილება, ჯოხები; ქინძისთავები, ჩიბუხის საჩხრეკები, თითის ბეჭდები და სხვა მრავალი. ყველაფერი ეს იყო ნაწყობილი პატარ-პატარა ქილებში. ჯერ-ჯერობით რამდენიმე ინჟინრის შემწეობით ყველა ეს ნივთები ნაცნობია ბრინჯაოს ნარევ ოქროთი. ყოველივე ეს აცნობეს პატივცემულ პროფესორს მარრის და არქეოლოგიურ საზოგადოებას წევრს ბ. ექვთიმე თაყაიშვილს, რომელთაც აღუთქვეს მოსვლა და ადგილობრივ ნახვა ხსენებული ნივთებისა. პროფესორის მოწერილობით მუშაობა იმ ადგილზე შეჩერებულ იქმნა, თორემ დიდ-ძალი ნივთები უნდა იყოს კიდევ. დიდად საინტერესო სანახავი არის ის ნივთები, რადგან აქედან ბევრი რამის გაგება შეიძლება. ეს ნივთები უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდეს ინჟინრების სიტყვით ამოდენ ხანს ვერავითარ ლითონს ვერ უნდა გაეძლო მიწაში, გარდა ზემო ხსენებულისა. წონით ჯერ ნაპოვნი ნივთები ორ ფუთს აღემატება.

ამავე ნივთებთან აღმოჩენილ იქმნა ადამიანის ძვლები. ძვლების მიხედვით მაშინდელი ადამიანები გიგანტებად წარმოგვიდგება ეხლანდელ ადამიანებთან შედარებით.

—

გორი. აღარა ხუმრობს ხოლერა. 22 ივლისიდან დღემდე აგერ თერთმეტი კაცი იმსხვერპლა. სანიტარული კომისია თითქოს რაღაცას ფაცხურობს, „მუშაობს“, მაგრამ ნათლიმამობას იჩენს და ოქმებს უსუფთაობისათვის უფრო ღარიბ-ღატაკებს უმარჯვებს. მაშ რა ქნას—ნახა დაბალი ღობე და ზედ ადვილად გადალაჯა, მაღალ ღობეზე გადასვლა აგრე ადვილი არ გახლავს, მკითხველო. მაგ. ალიხანოვის სახლი რომ ვინმე ღატაკისა ყოფილიყო, აქამდის ჯარიმების წყალობით საჯარო ვაჭრობით გაუყიდდნენ მას, მაგრამ ალიხანოვი ვინმე ღატაკი პეტრე ან ივანე ხომ არ არის. საქმე იმაშია, რომ ხსენებულ ალიხანოვს ივანოვის ვიწრო ქუჩაზე ფეხისადგილი ქუჩის პირად აქვს. ხან და ხან, მეტადრე სიცხე-პაპანაქებაში, ისეთი საძაგელი სუნი ამოდის, რომ აქეთ გავლა ყოვლად შეუძლებელია. რატომ არ აქცევენ ამას ყურადღებას ჩვენი სანიტარები? იქნება სიარულში ყნოსვა ისე დაუხლუნგდათ, რომ სუნს ვეღარა გრძნობენ? რამდენი ამისთანაა მისათითებელი, მაგრამ ყველაფრის გამოტანა გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ:
Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუღიათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

რაკი გორის ამბებზე ჩამოვიგდე ლაპარაკი, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ექიმის საზღაპრო დაუდევრობა პაციენტებისადმი. არა ერთხელ და ორჯელ აღნიშნულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ზოგიერთა ექიმის უპატივცემლობა თავის ზნეობრივ მოვალეობისადმი. და მეც მსურს მათ რიცხვს ერთი „ღირსეული მამულიშვილი“ ექიმი შევმატო. უცნაური ზნე სჭირს ამ ექიმს. ორი ფეხის-გადადგმაზე არ გამოგყვებათ რაც უნდა გაჭირვებული ავადმყოფი გყავდეთ სახლში, თუ თავის ნება არ არის. გადაუწყდეს, კიდევ ხმას არ ამოიღებდი, რომ მისი თავგასულობა საზღვარს არ გადასცილებოდა დღეს, როდესაც საშინელი სენი კარს გვადგია და 1892 წლის განმეორებას გვიქადის. 5 აგვისტოს ერთი ქალი ხოლერით გახდა ავად. აფრინეს კაცი ექიმთან, მაგრამ მან ყურიც არ გაიბერტყა, ხოლო მსახურის პირით მოახსენა—სადილი არ მიმირთმევიაო. პატარა ხნის შემდეგ აფრინეს მეორე კაცი, მაგრამ... ექიმს დაეძინა ხოლო როცა წინადადება მისცეს—გაეღვიძებინა, მსახურმა მედიდურად მოახსენა—როგორ, გავაღვიძო რა, ჩემი ძია არის თუ დეიდაშვილიო. ექიმმა, რასაკვირველია, ტკბილად გამოიძინა და ავადმყოფთან წავიდა მაშინ, როცა მოესურვა.

სამწუხარო კიდევ ისაა, რომ ამ ექიმის „პრაქტიკაში“ ასეთი საქციელი პირველი და უკანასკნელი არ არის.

მოახლოვდა ქალაქის ხმოსნების არჩევნები და ძველ-ხმოსნების კუდაბზიკობა უთავბოლობისაგან გაწამებულ მოქალაქეს წამოუდგა საკითხი—ვის აირჩევენ? აირჩევენ ისევ-ისევ მუნჯ, უენერგიო ადამიანებს ჩვენს მუნიციპალიტეტში, როგორებიც აქამდის იყვნენ, თუ უფრო ცოცხალთ, მოქალაქეთა ნამდვილ ინტერესების დამცველთ, რომელნიც ცდილობდენ სიცოცხლეს და ხალისს შეიტანენ ქალაქის ერთ-ფეროვან საზოგადო ცხოვრებაში? ქართულ გაზეთებში საკმაოდ დაიწერა ამ საგნის შესახებ. ხმოსანთა დასახასიათებლად გვიხსენოთ; რომ ქალაქის „თავად“ აირჩიეს პაპალექსი, რომელიც შეიძლება კარგი მეომარი პოლკოვნიკი იყვეს, მაგრამ ვერავითარი სამუნიციპალიტეტო მოღვაწე.

ხმოსნებში ერთ-ორს ჰქონდა გაბედვა, დანარჩენები ისმენდნენ, ისინი ურჩევდნენ. ერთი „გავლენიანი ხმოსანი“ იქამდინ მივიდა, რომ მეორე „გავლენიანს“ დაახლოვებით ასე ურთხრა: „ბევრს რას ელაპარაკები მაგათ (ხმოსნებს), ეგენი სკამები არიან და სკამი საითაც გინდათ იქით გადადგითო“. სჯა-ბაასიც, რასაკვირველია, სახელმწიფო ენაზედ, რუსულად სწარმოებდა სხდომებზე, რაიცა ხმოსნების „მუშაობას“ შესაფერ ლადს ასცემდა. საჭიროა მოქალაქეებმა ეხლა ცოტა დაკვირვება გამოიჩინონ, აწონდაწონონ კანდიდატები და ისე აირჩიონ „მზრუნველებად“, თორემ თითზე კბენანი შემდეგ გვიანღა იქმნება. ქალაქი ბევრ რამეს საჭიროობს, ბევრი სამუშაო ექმნებათ მომავალ ხმოსნებს, ამიტომ საჭიროა ავირჩიოთ ენერგიული ადამიანები. მაშ შევემზადნეთ შვიდ ნოემბრისთვის.

„რაც საჭიროა ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის“ო, სთქვა ერთმა გენიოსმა. სწორედ რომ მართალი უთქვამს იმ დალოცვილის შვილს. ელემენტარული ცნობებით კი არა გვაქვს შეთვისებული მაზე, რაც დღეს ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, „არა საჭიროთი“ კი თავი გვაქვს ამოხრილი. დაბალ ხალხში გავრცელებულია ის აზრი, რომ ხოლერობის დროს მაგარ სასმელების სმარება კარგიაო, და რაც უფრო მეტს დალევ, რასაკვირველია, უფრო თავიდან „აიცილებ“ ხოლერასო. ამან ლოთობას ფართო ასპარეზი გაუშალა და ბრალიანმა და უბრალომ სამიკიტნოს მიაშურა. კანიაკის, არაყის, ღვინის სინსილა გააწყალეს. არ კი იციან, რომ ამით მშვენიერ ნიადაგს უმზადებენ ხოლერას, და თავეთივე ხელით ითხრიან საფლავს. საჭიროა, ინტელიგენციამ ხმა ამოიღოს და ამის წინააღმდეგში დაარწმუნოს ნოეს ადეპტები....

მალე გაბედნიერდებით გორელები ცირკით. ამ ზამთარს ბ. ესაკიკას გორელების ფულის გემო ალბათ კბილებში სჯდომია, რომ კიდევ გვიპირებს სტუმრობას უკვე გვაცნობა —მალე მოვალო, ნეტავიდა ჩვენ!.. მაგრამ რა გვეწყობა, გორელი ხუთი მანეთის დახარჯვას არჩევს ცირკში, ვიდრე ექვსი შაურისა თეატრში...

სან-განი-ძე.

თეატრი და ხელოვნება

დ. ხონი. ხუთშაბათს, 5 მარიამობისთვეს ადგილობრივ თეატრის დარბაზში გაიმართა კონცერტი. ხოლო კონცერტის შემდეგ ივანე შარვაშიძის სახლში იყო ცეკვა-თამაში და ბუფეტი. კონცერტში ქართულმა ხორომ ბ-ნ გ. მკურნალის ლოტბარობით იმღერა შემდეგი სიმღერები: „ვისია“, „აღსდეგ გმირთ-გმირო“ და „ჩუხ-ჩუხით“. შემდეგ იმღერა ბ-მა გაწერელიამ. მან ორის გარდა სულ რუსული სასიმღერო ლექსები იმღერა. ქართულად იმღერა „შენ გეტრფი მარად“. ამ სიმღერის ხელმეორეთ განმეორება სთხოვა საზოგადოებამ. აიხადა ფარდა, გამოჩნდა ბ-ნი გაწერელია, და დარწმუნებული ვიყავით, მომღერალი დააკმაყოფილებდა საზოგადოების თხოვნას, გაიმეორებდა „შენ მეტრფი მარადს“, მაგრამ ჩვენდა გასაკვირველად, ქართული სიმღერის ნაცვლად იმღერა რუსული სასიმღერო ლექსი. შემდეგ ქ-მა შავერზოვისამ რუსული სიმღერებით ყური გამოგვიჭედა. ვისთვის იყო ეს რუსული სიმღერები საჭირო—არ ვიცით. ქ-მა მიქელაძისამ როიალზე დაუკრა. წაიკითხეს რუსულად სამი თუ ოთხი სცენა. იყო ქალების ხორო. გარდა ხუთი სიმღერისა ყველაფერი რუსული იყო უმჯობესი იქნებოდა ეს კონცერტი აფიშებში რუსული კონცერტის სახელით მოენათლათ რათა საზოგადოებას სცოდნოდა თუ როგორი კონცერტი გაიმართებოდა. დაბეჭდეს მხოლოდ ქართული აფიშები და ამცნეს ქართველ საზოგადოებას, გაიმართება კონცერტიო, იქმნება ქართული ხორო ბ.ბ. ვლ. ბახტაძის და მკურნალის ლოტბარობითო. რუსულისა კი ჭაჭანებაც არ იყო აფიშებში. ქართველი საზოგადოება, დარწმუნებულია რომ ქართული კონცერტი იქნება, მივიდა თეატრში, რომელიც გაივსო ხალხით. მაგრამ წარმოიდგინეთ საზოგადოების გაოცება, როდესაც ქართულის ნაცვლად, რუსული კონცერტი მოასმენინეს. დაე თვით მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი კონცერტის გამმართველთ, რომელთაც ასე მოატყუეს ხალხი.

პროგრამაში შეტანილი იყო წასაკითხავად ორი ქართული ლექსი: „ქალარა“ და „სამშობლოსადმი“. რა უნდა წაეკითხა გ წივწივაძეს. გამგეებმა ეს ორივე ლექსი გამო[illegible] რა მოსაზრებით ჩაიდინეს—[illegible] კონცერტის დროს თუმც საზოგადოებაში აგერ-აგერ გაისმოდა ქართველის გულიდან ამონაკვნესი ხმები: „ქართული გაგვაგონეთ, ბატონებო, ქართულიო“, მაგრამ ეს ხმები რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. და მას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. წარმოიდგინეთ საზოგადოების იმ ნაწილის მდგომარეობა რომელიც მოვიდა სიამოვნების მისაღებად და ამის ნაცვლად მიიღო ტანჯვა სულისა. ხედავთ, თეატრი ქართულ საზოგადოებითაა სავსე (მაშ ტამბოველები ხომ არ იქნებოდნენ), მომღერლებიც ქართველები. სცენიდან კი მესმის რუსული სიმღერები, რუსული სცენები და სხვა. ჩვენში ასეა, თეორიულად ყველა ქართული ენის დამცველია კრებებზედაც ქართული, წერაც, კითხვაც, თეატრიც, მეტადრე სახალხო თეატრი, სიმღერები და სხვ. პრაქტიკულად კი არავინ უკადრისობს რუსულად ლაპარაკობს მაშინაც კი, როდესაც არავითარი საჭიროება ამას არ თხოულობს. ქართულ ენას ჩვენც ვდევნით ჩვენს აზრსა და საქმის შორის კავშირი გაწყვეტილია. საბედნიეროდ, ეს ჯერ ინტელიგენციას ემჩნევა.

კონცერტის შემდეგ ივ. შარვაშიძის ეზოში გაიმართა ცეკვა-თამაში. აქვე იყო ბუფეტი, აქვე გახლდათ ინტელიგენციის ერთადერთი საყვარელი ხელობა კარტნარდის თამაში. ცეკვის დროს უკრავდა სამხედრო მუსიკა და ზურნა.

მალხლი.

—

ს. ბანძა. (სენაკის მაზრა) პირველ აგვისტოს, ქუთაისის ქართული დრამატიული დასის მსახიობმა პ. კორიშელმა ადგილობრივ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინა ავქს. ცაგარლის სამ მოქმედებიანი კამედია „რაც გინახავს ველარ ნახავ“ და იგივე ავტორის ვოდევილი „ჭკუისა მჭირს“. პიესას საკმაოდ იცნობს ჩვენი საზოგადოება. ამიტომ შევეხებით პირდაპირ წარმოდგენას. წარმოდგენამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა, მხოლოდ ძლიერ სუსტობდა ალ. გაბუნია მთავარი გმირი დავითის როლში. მან სავსებით ვერ დაგვიხატა დავითის ფიცხი, მოუდრეკელი ხასიათი; გაბუნიას მიერ განპიროვნებული დავითი, ენერგიას მოკლებული მხდალი კაცის ტიპი გამოდგა. კარგი იყო ბ. ს. ციხისთავი (ზაქარიას როლში). ცოტა სუსტად იყო ქ-ნი ანასტ. გაბუნიასი; ცოცხალი და ნამდვილი ტიპი წარმოგვიდგინა სტ. გოგ. კეკელიამ (გიგუას როლი). არაუშავდა-რა დ. ფალავას კოხტაიას როლში დ. ილ. გაგუას სოსანასი. ფრიად ცოცხლად დაგვისურათა ლიზას როლი ქ-ნ-ნატალია ბაქრაძისამ. ბოლოს წარმოადგინეს ვოდევილი „ჭკუისა მჭირს“. აქ თავი იჩინა თავისი შესაფერი კილოთი ილ. გაგუამ გრიქულას როლში; არა უშავდა სიკო ციხისთავს მასწ. დათიკოს როლში.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მხოლოდ წესრიგი სრულიად არ იყო დაცული. ბილეთიანი და უბილეთონი ერთმანეთში აერივნენ და ვისაც პირველი ადგილის ბილეთი აელო, იგი ფეხზე იდგა, უბილეთონი კი მომეტებულად ისხდნენ. მაგრამ შემოსავალი მაინც ას მანეთამდე მოგროვდა. ხარჯი გაასწორა, მოგება დარჩა სასცენო მოწყობილებას. წარმოდგენის გამართვაში მადლობის ღირსნი არიან ს. ციხისთავი, სამუელ კეკელია და ლ. კეკელია. კარგი იქნება ესენივე იკისრებდნენ აქ განსაკუთრებულ სცენის მოყვარეთა წრის დაარსება, რათა შესაძლო იქნეს დროგამოშვებით დაიდგას დროის შესაფერი პიესა.

ბოლოს, არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი არა სასურველი მოვლენა; მგონი ცნობილია ის საერთო ნაკლი, რომ წარმოდგენის დროს ზოგიერთი ვაჟბატონები თუ ქალ. ბატონები თავისი ხმაურობით და სიცილ-ხარხარილაზღანდარობით ძლიერ ხელს უშლიან, როგორც წარმომადგენლებს, ისრე პიესის შინაარსში დაინტერესებულ საზოგადოებას. სამწუხაროა, რომ ისინი თავის მადის დასაკმაყოფილებლად მიმართავენ არა საკადრის საქციელს. საჭიროა შემდეგისთვის მაინც არ გამეორდეს ეს უცნაური მოვლენა.

უბილეთო.

მცირე შენიშვნა.

ჩვენ ორ ფელეტონში, რომელიც სახ. გაზ. №№ 66 და 68-ში იყო დასტამბული და რომელიც ესტეტიკის ზოგიერთ საგანს შეეხებოდა, მრავალი და შეუწყნარებელი შეცდომაა. ჩვენ ამ შენიშვნაში გავასწორებთ უმთავ-

---

ნაზე წყალობა თვისი, ხოლო კვლავ მადლშემოსილმა და გალაღებულმა დედამიწამ მოსცა სიხარული გულსა მუშაკისასა და აღავსო სახლი მისი ნაყოფისაგან იფქლისა და ღვინისა და ზეთისა, რომელ განმრავლდნენ.

— შრომა და მიწა დაგვიწესა გამჩენელმა სახსრად ცხოვრებისა სამოთხის გარე. ვისაც მიწაზე უდგა ფეხი და შრომის უნარი ჯერ არ მოჰსპობია, იმას არ ეშინიან, არც უნდა ეშინოდეს ცხოვრებისა, ფიქრობდა იაკობ მღვდელი.

და როცა დაბრუნდა სახლში ნაკურთხი და დაბინავდა მრევლში, უფრო მეტის ხალისით და ეშხით განაგრძო თავისი წინანდელი შრომა. სწორედ ისე მუშაობდა, როგორც მისი სოფლის გლეხები, არაფერში არ ჩამორჩებოდა თვითეულ თავის მრევლს. გულ-გაღეღილი, თავწაკრული, ქალმებით ფეხზე ებრძოდა მადლიან მიწას მძიმედ, აუჩქარებლივ, მოზომვით, გარნა წარბ-შეურხევლად, დაუღალავად, შეურკომლად, იმედიანად. ალტობდა შავს დედამიწას სისხლის ოფლით, რომ დაელბო და გაენოყიერებინა მისი ფართოდ გადაშლილი მკერდი ცხოვრების მომცემელი. მუშაობდა მღვდელი ბაღში, როგორც მებაღე დახელოვნებული, უვლიდა და ამრავლებდა საქონელს, როგორც მამამთავარი იაკობ ლავვანისას, მისდევდა ხვნასა—თესვასა ჰაზრიანი მეურნე, მკაში თუ კალოში არ ჩამოუვარდებოდა არც ერთს ვაჟკაცს სოფელში. მის გამოყვანილ გუთანს თუ ურემის თვალს შორიდანვე იცნობდი. ისე დაუდებდა საძნეურემს, შეხედვა გიამებოდათ. მისი დადგმული ზვინი საყდარს ედარებოდა ნაქვთიან მოყვანილობაში.

შრომობდა განუწყვეტლივ იაკობ მღვდელი, შრომობდა არა დაღრეჯით და უნებლიედ, არამედ სიამით და ხალისით. იმედით სავსე ჩაჰყურებდა დედამიწას, რომელ დარწმუნებული იყო მის დაუშრეტელ სიუხვეში, მის ულევ სიმდიდრეში. სასოებით აფუფუნებდა მის წიაღს და რწყავდა მას ოფლით: იცოდა, რომ ყოველივე წვეთი ოფლისა არ გაშრებოდა უკვალოდ მიწის ნოყიერ უბეში, არამედ აღმოცნდებოდა მადლობით დაუბრუნდებოდა მას ასკეც განმრავლებული.

— დალოცვილია დედამიწა. ის თვით ხელია უფლისა. პეშვი ღვთისა სავსე ულეველის საზრდოთი. ხოლო შრომა არის ის ერთად ერთი იარაღი, რომელიც გაალებს ამ საუნჯეს უთვალავს, აღალებს ამ ხელს კურთხეულს, რომელი მოსცემს საზრდოს სიყვარულისაგან თავისისა და განაძღებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ თავისისა, ფიქრობდა იაკობ მღვდელი და კმაყოფილება ესახებოდა მიმზიდველ სახეზე.

იაკობ მღვდლის მეუღლე მართა სწორედ შესაფერი ადამიანი გამოდგა მღვდლის ოჯახისათვის. მისი პიროვნება უნაკლულოდ იყო ჩამოსხმული მტკიცე რამ ნივთიერებისაგან და დასრულებული. ქალის მამის ოჯახში უმთავრესი აზრი ცხოვრებისა იყო შრომა დაუღალავი, სარისტა აზრიანი და კმაყოფილება მცირესა ზედან. თუ გამრჯელობისათვის ან მტკიცე წესიერებისათვის ეღალატნა მის მამის დიდ ოჯახს, ბურჯი შეერყეოდა მას, დაინგრეოდა და თვის ნანგრევებ ქვეშ მოიტანდა თავის წევრებს. ესეთი შეხედულობა სიმცროდგანვე ჰქონდა შეთვისებული თვითეულ წევრს ამ ოჯახისა, ესეთი შეგნებით იყო გამსჭვალული ყოველი მათგანი და ეს დიდა აზრი სპობდა ქმა ოჯახის შვილთა შორის წრესგადასულ კერძო მისწრაფებას, დამნთქმელს სახლის კეთილდღეობისა. ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წესი და ჩვეულებები ამოძრავებდნენ ამ დიდ ოჯახის წევრებს ერთმანეთის მკერდზედ მიზანშეწყობილად და თანხმობით. აქ ყველა თავის ტვირთს ეზიდებოდა, ყველას თავის უღელი ედგა ქედზედ ყველა განსაზღვრულ კვალში იყო ჩაყენებული, ყველა წევრი ოჯახისა აუცილებელი მუშაკი იყო ერთისა და იმავე მიზნისა და ოჯახის მაშენებელი.

მართამ ესეთი გარკვეული და სამართლიანი წესი ცხოვრებისა უკლებლივ გადმოიტანა თავის საკუთარ სახლში და მალე მისცა მას განსაზღვრული სახე და საიმედო მსვლელობა. ოჯახში რომ ჩადგა მართა და მიიხედ-მოიხედა, ჯერ იმას მიაქცია ყურადღება, რა საფუძველზე იყო იგი აშენებული ან რამდენად იყო მკვიდრი იგი საფუძველი... ნახა, რომ ოჯახის ნიადაგი მისი ნაცნობი იყო, უკვე მამის სახლში მისგან შეთვისებული და უფრო მკვიდრიც: ბინა საკუთარი და ფართო, ვენახი და ბოსტანი ნაკადულის პირზე, რამდენიმე დღიური სახნავ-სათესი, ქმარი განთქმული მუშა და თანაც მღვდელი. რაღას უნდა შეეფიქრებინა ახალგაზრდა დიასახლისი? არაფერს, სრულიადაც არაფერს! ღვთისგან კურთხეული ნიადაგი დახვდა ფეხ ქვეშ ნაცნობი და მიჰყო ხელი შეჩვეულ შრომას, დატრიალდა ჯარასავით. სახლს უვლიდა, პურს აკეთებდა და აცხობდა, სარეცხს რეცხავდა, სადილ-ვახშამს ამზადებდა, ძროხებს სწველავდა, ფრინველს ამრავლებდა, ქმარ-შვილს ჰმოსავდა, ბოსტანში თუ კალოზე მუშაობდა. მისი გამჭრიახი თვალი სწვდებოდა ოჯახის ყველა კუთხეს, მის მახვილ გონებას არაფერი არ გამოეპარებოდა ოჯახის მოძრაობაში, მის მარჯვე ხელს არაფერი არ ასცდებოდა სახლში. მისმა წოლმა ტრიალმა წოლმა წარმართა ყოველივე საოჯახო საქმე.

ტრიალებდა ოჯახში დაუღალავად მადლიანი დიასახლისი და არა უნებლიედ, უილაჯოდ, დაღრეჯილი და მგმობელი ბედისა, არამედ კმაყოფილი და მადლიერი განგებისა, რომელმა მიანიჭა მას ისეთი ოჯახი, სადაც ესე გამოსადეგი იყო და ხვავიანი მისი შრომა, სადაც თავის თვალითა ხედავდა კეთილს ნაყოფს თავის გამრჯელობისას.

— სახლში შემოგულებული დოვლათი ერთი ორად იქცევა, თუ მას ოჯახში დახვდა სარისტიანი ხელი გამრჯელი დიასახლისისა, თუ არა,—ფუჭად ჩაიშლება იგი და ცრემლად დაიღვრება, ფიქრობდა დიასახლისი და კმაყოფილებით ევსებოდა გული, როცა ჰხედავდა მადლიანად დაცულს სავსე ოჯახს.

და სალამო კმაყოფილებით შეაგებებდა ერთმანეთს ამ დაუღალავად მშრომელ ცოლ-ქმარს. მიმწუხრს იგინი ჰმადლობდნენ და აქებდნენ შემოქმედს, რომელმან ჰქმნა მათზედა დღის განმამავლობაში მოწყალება მრავალგვარი და ევედრებოდნენ მიეცა მათთვის ძილი განსასვენებლად ხორცთა.

და სიამით იყო სავსე სარეცელი მათი: ყოველნი ზრუნვანი ნივთიერნი მიეფარებოდნენ თვალთაგან მათთა და მოიცავდა მათ ძილი ტკბილი, მსუბუქი; ოცნებათაგან განყენებული, დამატკბობელი ხორცთა გემოვნებისა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

რეს შეცდომათ, რომელნიც აზრს სრულიად ამახინჯებენ.

პირველ ფელეტონში. 5 სვეტი ილ. ჭავჭავაძემ დასტამბული უნდა იყოს ალ. ჭავჭავაძე. ერთ ერთ უკანასკნელ სვეტში როსინია დასტამბული, უნდა იყოს—რასინი.

მეორე ფელეტონში. სვეტი 3. დასტამბულია „პოეზიისათვის სტილისტიური მარიტულობა“, უნდა იყოს—პროზისათვის—სტილისტიური მართებულობა. იქვე „გამოსახავების“, უნდა იყოს—„გამოხატულების“ შორის. იქვე დასტამბულია „აზრი მხატვრულად უნდა იყოს—გამოუთქმელი“. გამოუთქმელი კი არა „გამოთქმული“ სვეტი 4. „ექმნას“ მაგიერ უნდა იყოს „ჰქონდეს“. „დამკვიდრებულის“ მაგიერ—„დამოკიდებული“. სვეტი 6. „ერთგვარი წოდებულის“ მაგიერ „ერთგვარად მიჩნეული. სვეტი—9—შენიშვნაში „კვიზამოდო“ კი არა „კვაზიმოდო“. სვეტი 10. დასტამბულია „ვერავინ გვაჩვენებს ვენუს მილოსის... ბადალი რამ გვაჩვენოს“ უნდა იყოს „ვერავინ იკისრებს გვაჩვენოს ვენუს მილოსის... ბადალი რამ სიმახინჯის სფეროში“. იქვე „თავისი და ედმუნდს“ უნდა იყოს—„იაგოსა და ედმუნდს“.

უკანასკნელ გვერდზედ 1 სვეტში—„სიყვარულზედ“, უნდა იყოს „სიყვარულის შესახებ“. იქვე ვოლტერი და არა გოლტერი. უკანასკნელ სვეტზედ ბევრნიც კი არა, უნდა იყოს „ბრმანიც კი ამჩნევენ“. უკანასკნელ შენიშვნაში; „მეცნიერული განსჯა... მოსავენ“. უნდა იყოს „მეცნიერული განსჯა მოსავს.

კიტა აბაშიძე.

ქუთაისის ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოება

ამ სამიოდე წლის წინად. სახელდობრ ოქტომბრის 27-ს 1907 წელსა, ქუთაისში დაიბადა და მოინათლა ამ გვარი საზოგადოება; წესდება საზოგადოებისა დამტკიცებულ იქმნა ქუთაისის გუბერნატორის მიერ, კიდევაც დაიბეჭდა და დაურიგდა ვაჭართ; წესდებას ხელს აწერს შემდეგი პირნი ასე: „დამფუძნებელი წევრნი საზოგადოებისა: 1, აზ. ვარლამ ივანეს ძე ქილაძე 2, აზ. ფირნა ბეჟანის ძე გაბუნია 3, ქუთაისის ვაჭარი ფილიპე სვიმონის ძე გოლიპოვი. 4, ვაჭარი მიტროფანე ერმალოს ძე ლალიძე. 5, ვაჭარი აზ, ბესარიონ გრიგოლის ძე გაბუნია. 6, ქუთ. ვაჭარი პეტრე იოსების გოკიელოვი. 7, ქუთ. ვაჭარი ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძე. 8, ქუთაისის ვაჭარი იაკობ სვიმონის ძე ალიბეგოვი. 9, ქუთ. ვაჭარი აბელ გრიგოლის ძე ყაზაროვი. 10, აზ. ტარიელ დიმიტრის ძე გაბუნია. 11, ქუთ. ვაჭარი მიხეილ ივანეს ძე ჭავჭანიძე. 12, ქუთ. ვაჭარი ზაქარია სოლომონის ძე ბუტულაშვილი. 13, ქუთ. ვაჭარი ტერენტი სვიმონის ძე გველესიანი. 14, ქუთ, ვაჭარი სპირიდონ ტარიელის ძე მოწონელიძე. 15, ქუთ. ვაჭარ. დავით ნიკოლოზის ძე ლორია. 16, ქუთაის. ვაჭარი გრიგოლ დავითის ძე კაჭკაჭოვი. 17, ქუთ. ვაჭარი ალექსანდრე გვიჩია. როგორც წესდებაში ვკითხულობთ, საზოგადოებას მიზნად ჰქონდა შემდეგი: ა) შეკავშირებულ ორგანიზაციით და ურთიერთ შორის დახმარებით დაამყაროს კეთილი და სასარგებლო პირობანი სავაჭრო-სამრეწველო საქმეებისა თავის წევრთა შორის, ბ) იქმნას წარმომადგენელი თავის წევრთა საალებ-მიცემო ინტერესებისა, გ) ხელი შეუწყოს სხვა და სხვა დამხმარებელ სავაჭრო დაწესებულებას. დ) დაეხმაროს კონებრივად თავის წევრებს და მათ ცოლშვილს და, ე) ხელი შეუწყოს სულიერ და გონებრივ განვითარებაო თავის წევრებისას.

ზემოხსენებულ მიზნის მისაღწევად საზოგადოება ა) აფუძნებს „ბიუროს“ საჭირო ცნობების შესაკრებად სხვა და სხვა გვარ საქონლის ფასებისა მის ღირსებას და სხვა საჭირო სა მრეწველო დაწესებულების შესახებ. ბ) შეიძენს საკუთრებას, მოძრავს და უძრავს და გახსნის სხვა და სხვა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებას. გ) აიღებს იჯარით სხვა და სხვა გვარ სავაჭრო-სამრეწველო საქმეებს და დასდებს შესაფერ ხელშეკრულებას, დ) გამოიკვლევს მოჯამაგირეთა და მოსამსახურეთა შრომის პირობებს სავაჭრო და სამრეწველო საქმეთა სხვა და სხვა დარგში. ე) აფუძნებს ურთიერთ შორის დამხმარებელ კასას. ვ) აღმოუჩენს საქმიო და წამლობითი დახმარებსა და მათ ცოლშვილის, რისთვისაც აფუძნებს საავადმყოფოს, თავშესაფარს და სხვა... ხსნის სკოლებს, წიგნთ საცავებს და სამკითხველოებს.

ზ) იყოლიებს საკუთარ ვექილს თავის წევრთათვის თ) გამართავს ლექციებს, კონცერტებს, წარმოდგენებს და სხვა....

ი) განიხილავს წევრთა შორის აღძრულ დავას, აგრეთვე წევრთა და მოსამსახურე—მოჯამაგირეთა შორის უთანხმოების და შეიმუშავებს ამისათვის შესათანხმებელ პირობებს. საზოგადოების წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია და თვითეული მათგანი იხდის შესვლისთანავე ერთხანად ხუთ მანეთს და გარდა ამისა ყოველ თვიურად საწევროს, არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

1908 წელში საზოგადოება კიდევაც შეუდგა მოქმედებას, არჩეულ იქმნა გამგეობა; ქალაქი გაჰყვეს შვიდ სამოქმედო რაიონად, თვითეულ რაიონში ითვლებოდა თითო წარმომადგენელი, რომლებსაც დავალებული ჰქონდა საწევრო ფულების შეკრება; უფროს წარმომადგენლად ითვლებოდა ტარიელ გაბუნია, ფულებიც შეკრიბეს, დაბეჭდილი კვიტანციებიც გასცეს და ამით გათავდა საქმე. რა მოხდა შემდეგ ან სად წაიღეს ეს ფულები, რას მოახმარეს, ალლახმა უწყის. არც ყოფილი გამგეობა, არც ფულის მომკრები წარმომადგენლები, ხმას აღარ იღებენ, თუმცა რამოდენიმეჯერ მოსთხოვეს მათ ანგარიში, როგორც სიტყვიერად ისე გაზეთის საშუალებითაც. საზოგადოება დაიხურა, აღარ მოქმედობს, მაშასადამე საჭიროა აქ ანგარიშის გამოცხადება არა წაყრუება.

ლადო ბზვანელი.

ბიბლიოგრაფია.

Duchesse de Rohan—Les dévoilées du Caucase. Notes de voyage. Paris. 3—edition, გვ. 1—386. ქ. როლანის წიგნი შეიცავს მოგზაურობის აღწერილობას. წიგნში 386 გვ., 200 გვ. ავტორი მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებზე საქართველოში მოგზაურობის დროს. ეხება მოკლე ისტორიას ტფილისისას, იმერეთისას, სამეგრელოსას, გაკვრით ეხება საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას. სცდილობს ხალხის ზნე-ჩვეულების და განსაკუთრებით ფსიხოლოგიის დახასიათებას.

ასახელებს ჩვენ ძველ და ახალ მწერლებს, მათ ნაწერებს და მნიშვნელობას ჩვენ ლიტერატურაში. ჩინებული თარგმანი აქვს წიგნში ჩართული ჭავჭავაძის, აკაკის რ. ერისთავის ლექსები აკაკის უძახის Akéki Lazatelli (?) ნ. ბარათაშვილს Nicolas Barataschi véchi (?) წიგნში ჩართულია რამოდენიმე ჩინებულად შესრულებული სურათი. წიგნი მესამე გამოცემით გამოდის და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზედ. მართალია წიგნი არაფერს ახალს არ შეიცავს, მართალია წიგნში ღრმა დაკვირვება ჩვენი ხალხის ცხოვრების და ზნე-ჩვეულების შესახებ არ არის, მართალია ისიც, რომ წიგნში მხოლოდ მგზავრის შენიშვნებია ნახულის და გაგონილის შესახებ, მაგრამ წიგნი მაინც ყურადღების ღირსია; დაწერილია წიგნი უბრალო ლიტერატურული ენით წიგნს წაიკითხავდა ბევრი, (მე-სამე გამოცემაა), უცხოელი საზოგადოება და ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს. ჩვენ პატარა ქვეყანას ერთჯერ კიდევ გაიხსენებდა ევროპიელი მკითხველი, ზოგიერთი ჩაუკვირდებოდა ამოკითხულს წიგნიდან, დააჩერდებოდა სურათებს ავტორი სიყვარულით სწერს ჩვენ ქვეყანაზედ და უეჭველია იწვევს თანაგრძნობას მკითხველისაგანაც. ღარიბ ლიტერატურაში უცხო ენებზედ საქართველოს შესახებ ქ. როლანის წიგნის მე 3 გამოცემასაც ექნება ადგილი.

სიმ. ჯავლიანი.

უცხოეთი

პოზნანის პოლონელების კოლონიზაცია.

ამ ახლო ხანში პოზნანს მიემგზავრება გერმანიის მეფე ვილჰელმი. გერმანულმა გაზეთებმა ამის გამო გაიხსენეს საკოლონიზაციო კომისიის მოქმედება, რომელიც მართლაც რომ საგულისხმიეროა.

კომისია ყოველწლივ აწყობს და მართავს ათასამდე წვრილ საგლეხო მამულს. 25—30 დესეტინიან მამულის შესაძენად გლეხს უნდა ჰქონდეს 5—8 ათასი მარკა; მაგრამ შეიძლება უფრო წვრილ მამულების შეძენაც, მაშინ 2,500 მარკაც კმარა; არის აგრეთვე 1—2 დესეტინიანი მამული რომლებსაც ჰყიდიან ღარიბს გლეხებზე; მათ ეს მამული არა ჰყოფნით და ამიტომ სამუშაოს ძებნაც უხდებათ; სამუშაოს შოულობენ თავიანთ მოძმეებთან, რომელთაც მეტი მამული აქვთ.

საკოლონიზაციო კომისია მამულების მყიდველი ფულს აძლევს სესხად საჭირო იარაღ-მანქანების შესაძენად, შენობათა ასაგებად და სხვა; სხვათა შორის თითო მეკომურს 40 დასარგავ ხილის ხეს ურიგებენ; რომლის ფასის მხოლოდ მეოთხედს ახდევინებენ.

საკოლონიზაციო კომისია მაზედაც ზრუნავს, რომ გლეხებს შეეძლოთ თავიანთ მეურნეობის ნაწარმოებთა კარგ ფასში გასაღება. ამისათვის მათ გამართული აქვთ საუცხოვო ბეღლები, წისქვილები, მოწყობილი ყველა საჭირო იარაღი, ამხანაგობანი საქონლის გასაყიდად, ერბო-ყველის საკეთებელი ქარხნები და სხვა.

მოძრაობა ინდოეთში.

ჩვენს მკითხველებს დეპეშებიდანაც და ამ განყოფილებიდანაც ეცოდინებათ; რომ ინდოეთში დიდი მოძრაობაა ბენგალიაში ამას წინად აღმოაჩინეს დიდი შეთქმულება. ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ფარულ საზოგადოებას ღრმადა ჰქონდა ფესვები გადგმული ინდოეთის სხვა და სხვა ადგილებში. უცხოეთის გაზეთების ამ ერთი თვის განმავლობაში გამუდმებით სწერან სპეციალურ კორესპონდენტების წერილებს და იკვლევენ, თუ რა ხასიათის მოძრაობა არის ამ ჟამად ინდოეთში. აქამდის ფიქრობდენ, რომ ინდოეთის ახალგაზრდობა, ევროპიელ კულტურითა წეს-წყობილებით გატაცებული, სცდილობს დაამყარონ ინდოეთში, ლიბერალური რეჟიმი. მაგრამ გაზეთი „Phe Nation“ სწერს, რომ ინდოეთის დღევანდელი მოძრაობა ევროპას ყოველნაირ გავლენის წინააღმდეგაა მიმართულია. ეს მოძრაობა არა ჰმაყოფილდება რომელიმე პოლიტიკურ პროგრამით. მოძრაობაში მონაწილეთ უკვე გამოიარეს პირველი ხანა—ევროპის ზნე-ჩვეულებისა და იდეალებით გატაცებისა, ეხლა მათ სწამთ, რომ უზენაესი ძალა ერთ მშვენიერ დღეს შეჰმუსრავს ინდოეთის ბატონ-პატრონთ — ინგლისელებს. კორესპონდენტის სიტყვით, მოძრაობის ხელმძღვანელნი იმდენად გატაცებულნი არიან ეროვნულ თავისიანობის დაცვით, რომ ძველ ჩვეულებათა აღდგენას ადგანან მაგ. სასტიკად იცავენ მცირე წლოვანთა ქორწინებას. ისინი აგრეთვე მისწრაფვიან მოსპონ კასტობრივი წყობილება—ესეც სარწმუნოებრივ მოსაზრებით.

ახალგაზრდათა ერთი ნაწილი გატაცებულია ტერორით და მასში ხედავენ ხსნას, მაგრამ უმრავლესობა წინააღმდეგია ამ საშუალებისა და მეორენი უფრო გონივრულ საშუალებას მიმართვენ. ეგრედ წოდებულ სტრატეგის ესენი ქადაგებენ „მორალური გაფიცვა“ გამოუცხადონ ინგლისელებს და ბოიკოტი გამოუცხადონ იმ ინდოელთ, რომელთაც პირდაპირ და შორიდან რაიმე დამოკიდებულება აქვთ ინდოეთში ინგლისელთა მართვა გამგეობასთან. ბევრი ინდოელი დარწმუნებულია, რომ ამ საშუალებით შესძლებენ დიდი საქმის გაკეთებას, წარმოშობენ და მომზადებენ ახალ თაობას, რომელიც იბრძოლებს და შეიარაღებულ აჯანყების საშუალებით დაამხობს არა სასურველ ბრიტონის ბატონობას. ამნაირად, ინგლისელების წინააღმდეგ ძლიერი მოძრაობაა, რომელსაც განსაკუთრებული პროგრამაც აქვს და ტაქტიკაც: ძლიერად იჩინა თავი ეროვნულმა გრძნობამ, განსაკუთრებით ინტელიგენციაში. გაზეთი ამბობს „ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ აჯანყების მოლოდინში ვართ. შეიძლება ულმობელმა ძალამ ეხლა შეუბრალებლივ ჩააქროს ეს აჯანყება, რომ შემდეგში კვლავ იფეთქოს უფრო მეტის ძლიერებით. მეტად დიდხანს უყურებდით ინდოეთს როგორც ჩვენს საწველ ფურს, ეხლა არავითარი „რეფორმა“ საქმეს ველარ გამოაკეთებს.

რუსეთი

◆ **შავი ჭირი ადესაში.** როგორც რუსეთის სატახტო გაზეთებს ატყობინებენ, 5 აგვისტოს, ერთი დღის განმავლობაში, შავი ჭირის ბარაკში ოთხი საეჭვო ავადმყოფი გადაუყვანიათ. ამას გარდა შავი ჭირიანი ავადმყოფი აღმოჩენილა პრივოზნი მოედანზე. მეორე შემთხვევა შავი ჭირით ავადგახდომისა ყოფილა არნაუტის ქუჩაზე, დიდს სახლში, რომელშიაც საპყელი დუქანი და დიდი კოლონიალური სავაჭროა მოთავსებული. ავად გამხდარა ვატი, პატრონი ქარხნისა, რომელიც იმ სახლშივეა. სულ ადესაში, შავი ჭირის ცხად ნიშნებით, 41 კაცი გამხდარა ავად. 5 აგვისტოსვე, შუადღის შემდეგ, შავი ჭირით კიდევ სამი კაცი გახდარა ავად—ერთი ისევ არნაუტის ქუჩაზე, ორიც—მალდავანკაზე.

◆ **თვითმკვლელობის სტატისტიკა.** „რუსკ. სლ.“ შეკრებილ ცნობებით, ივლისის განმავლობაში თავი მოუკლავს: ასტრახანში—3, ატკარსკში—2, ბაქოში—2, ბათომში—2, ვარშავაში—11, ვიტებსკში—4, ვორონეჟში—3, ვიატკაში—4, დვინსკში—1, ეკატერინოდარში 4, ელისავეტოგრადში 5, ჟიტომირსკში 9, ირკუტსკში 8, ყაზანში 11, კალუგაში 1, კურჩში 4, კიევში 43, კურსკში—1, მინსკში 7, მოგილევ. გუბ. 2, ნოვოროსიისკში 1, ადესაში 24, ომსკში 2, ორიოლში 12, პოლტავაში 7, პატიგორსკში 3, რიგაში 13, დონის როსტოვში 15, რიბინსკში 2, სარატოვში 6, სიღნაღში 1, სმოლენსკში 3, სტავროპოლ. გუბ. 2, სოხუმში 1, ტამბოვში 3, ტფილისში 3, ტომსკში 3, უფაში 6, ხარკოვში 7, ხერსონში 6, ჩერნიგოვში 3, ჩიტაში 8, იალტაში 1, იაროსლავში 2, ფეოდოსიაში 3, პეტერბურგში 43, მოსკოვში 37. სულ, მაშასადამე, ივლისის განმავლობაში 304 კაცს მოუკლავს თავი. თავის მოკვლა კი განუზრახავს, მაგრამ სისრულეში ვერ მოუყვანია ორჯელ მეტს.

◆ **ჯაშუშების დატუსაღება.** როგორც კიევიდან იუწყებიან, რაძივილოვკაში ავსტრიის ჯაშუში დაუტუსაღებიათ. ჯაშუში, ვინმე დუბასი, კიევის სამხედრო შტაბის განკარგულებით დაუტუსაღებიათ. ამ მოკლე ხანში სამხრეთ-დასავლეთ მხარეში მესამე ჯაშუში აღმოუჩენიათ.

(რ. ს.)

განცხადებანი

ფოტოგრაფია
◀ ა. მ. არტურისა ▶

(რიყის ქუჩა, № 15) აცხადებს, რომ 12 მარიამობისთვიდან 15 ენკენისთვემდე იღებს **მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასად. სადარბაზო სურათებს** 1 ცალს 50 კ. 2 ცალი—75 კაპ. 1 დუჟინი—2 მან. 50 კაპ. ნახევარ დუჟინი 1 მან. 75 კაპ. **„მინიონს“** 1 დუჟინს 1 მან. 60 კაპ. ნახევარ დუჟინი—1 მანეთი. (2—374—1)

ექიმი
ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—158

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა
13 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ:	N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
	N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
	N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ:	N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
	N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
	N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ:	სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
	სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ:	საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ:	სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან:	N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
	N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
	N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან:	N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
	N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
	N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან:	სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
	სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან:	საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან:	სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

მოსავალი
წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

კატალოგი
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1.	იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ.	40 კ.
2.	მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ.	20 „
3.	ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ.	50 „
4.	ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . .	10 „
5.	ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. .	40 „
6.	სახარება.	

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7.	აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . .	40 „
8.	ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . .	50 „
9.	ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ.	10 „
10.	გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ.	20 „
11.	გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ.	30 „
12.	გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ.	20 „
13.	გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ.	1 მ. 25 „
14.	დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ.	70 „
15.	ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. .	5 „
16.	ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ.	50 „
17.	ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა.	1 მ. 30 „
18.	თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ.	20 „
19.	იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . .	30 „
20.	მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ.	20 „
21.	Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . .	20
22.	მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ.	50 „
23.	ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ.	15 „
24.	ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ.	3 „
25.	ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ.	5 „
26.	მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ.	20 „
27.	მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ.	5 „

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“
(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 **წიგნი მცირე წლოვანთათ.** **12** **წიგნი მოზრდილთათვის.**

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; **საზღვარ-გარედ:** წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლაში).

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

ჟ უ რ ნ ა ლ ს

„განათლება“-ზე
(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გაეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს სამ ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებელთათვის **ორი მანეთი**. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ჯავლაშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія
Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კატეგორიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—35)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**